წელიწადი მე-2 ტელეფონი № 76. ხუთშაბათი 5 აგვისტო

# სამშობლო

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხ დებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარი განცხადებების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ქ., კნ. მიქელაძის სახლებში.

№ 422 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. № 422

სოფელ სავანეში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გადაიცვალა

ილია (ილიკო) ზურაბის ძე აბაშიძე,

რასაც აუწყებენ მეგობართ და ნაცნობთ ღრმად დამწუხრებულნი მისი ქუთაისური იდეიური ამხანაგები.

სოფელ სავანეში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გადაიცვალა

ილია (ილიკო) ზურაბის ძე აბაშიძე,

რასაც აუწყებენ მეგობართ და ნაცნობთ ღრმად დამწუხრებულნი მისი ქიათურელი იდეიური ამხანაგები.

## დ ა ვ კ ა რ გ ე.

ოთხშაბათს, 3 აგვისტოს, საღამოს 11 საათზე თბილისის ქუჩაზე დავკარგე, ან ეტლში დამივარდა ჯიბის პორტფელი, რომელშიაც იყო 24 მანეთი და შემდეგი დოკუმენტი Именной списокъ военнообязанныхъ на имя Акакія Сванишвили, выданный ихъ Шорапанскаго Комитета по предоставленію отсрочекъ военнобязаннымъ. მპოვნელს უმორჩილესათ ვსთხოვ ფული მან დაიტოვოს, მხოლოთ ქაღალდები და პორტფელი გამომიგზავნოს შემდეგი მისამართით: თბილისის ქუჩა, შუშის 267 საწყობი მ. დ. სვანიშვილს. 1—1

## იძლევა იჯარით

ჩემ მიერ იჯარით აღებული საღორიის აგარაკზე **საეზოვე მიწა** ორასი კვად. საჟენი, აქვე გაშენებულია ასი ძირი კარგი ჯიშის ნაყოფიერი ვენახი. ეზო მაღალი ღობითაა შემოკავებული.

**პირობების გაგება შეიძლება პ. ფერაძის სტამბაში,**

**ექიმი** ა. მ. ასათიანი. რადგანაც სამსახურის გამო ესენტუკში გაიწვიეს მინერალურ წყლების ჯგუფის ექიმად მან ავათყოფების მიღება 1 აგვისტომდის შესწყვიტა.

**ექიმი** ი. ჩარექოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. **დაბრუნდა და განაახლა** ავათმყოფების მიღება დილით $12^1/_2$— 2 საათ, საღ. 6—8 საათ. მიიღებს მხოლოდ კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს.

მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

## დოქტორი მედიცინისა

პრივატდოცენტი

**ვ. პ. მოსეშვილი**

მიიღებს შინაგანი და ნერვების ავადმყოფობით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 საათამდი და საღამოს 6 ს.—8საათ.

2 გოსპიტლის ქუჩა № 6 თ.

ბრიუსელის საკომერციო ინსტიტუტის სტუდენტი

## აძლევს გაკვეთილებს

**ფრანგულ ენისას.**

იკითხეთ „სამშობლოს" რედაქციაში.

**დ. ლ ა ი ლ ა შ ი.**

## კბილის ექიმი

**ანნა პარმენის ასული ეგანოიძე**

**25** ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს. სახლი ნესტორ კაჭკაჭიშვილისა.

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **გოკიელი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. **ელექტრონისა** და სინათლის კაბინეტი. **შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ** ავათმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ.

ნ-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

## გამოცდილი მასწავლებელი

სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისთვის ხელმისაწდომ ფასებში.

მისამართი: გაზ. „**სამშობლოს**" რედაქც.

## ვიყვან მოწაფეებს

ყველა კლასებისათვის მოსამზადებლად და განსაკუთრებით აფიცრების შკოლებისათვის ხელმისაწდომ ფასებში. ნახვა დილის 8—საღამოს 6 ს-მდე. ამირინის ქუჩა, სახლი დემიდოვის, სტუდენტი 244 ა. ზ. თელია. თვ.

## ბებია

**მ. მ. კოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ელექტრო „**ამპირ**" თეატრი

ხუთშაბათიდან, 4 აგვისტოდან ახალი პროგრამა:

## ველური ძალა.

ძლიერი დრამა 3 ნაწილად ანნა მარისა, ქ ნ რებიკოვის და ბბ. ვეიროტის და სოტნიკოვის მონაწილეობით.

**ანტოშა და შავი ხელი.**

კომედია—ფარსი 2 ნაწილად ვარშავის თეატრის ცნობილ მსახიობის ანტონ ფერტნერის მონაწილეობით.

ელექტრო „**რადიუმ**" თეატრი

ხუთშაბათიდან, 4 აგვისტოდან ახალი პროგრამა.

## ბედი ცვალებადია

ძლიერი დრამა 4 ნაწილად. ქ-ნნ ქერუვიმოვის და გრეას მონაწილეობით.

ქალის შურისძიება.

სახუმარო.

## ი ყ ი დ ე ბ ა.

**დაბა ხონში იყიდება სამოსახლო ადგილი**

სივრცით დაახლოვებით 1500 საჟენი. სემინარიის გვერდით. პირობების გაგება შეიძლება ქ. ქუთაისში, თბილისის ქუჩა, ნიჟარაძის სახლი, № 46.

256

ქუთაისის რვა კლასიანი საკომერციო სასწავლებელი აცხადებს,

რომ მომავალ სამოსწავლო წლიდან იხსენება მეორე კლასი. მისაღები გამოცდები თავისუფალ ვაკანსიებზე მოხდება 23, 24 და 25 აგვისტოს. თავისუფალი ვაკანსიებია: უმცროს განყოფილებაში—20 უფროს განყოფილებაში—2—1 კლასში—2 მე-2 კლასში—6.

სასწავლებლის მოწაფეთა ხელმეორე გამოცდა 26 და 27 აგვისტოს მოხდება, ამის სია თავის დროზე გამოკრული იქნება სასწავლებლის კანცელარიაში.

31 აგვისტოს დილის 10 საათზე გადახდილი იქნება პარაკლისი და 1 სექტემბერს 266 დილის $8^1/_2$ საათზე დაიწყება მეცადინეობა. 3—1

# მსოფლიო ომი.

## დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ.)

**უმაღლესი მთავარ სარდლის შტაბისაგან.**

**პეტროგრადი** 2 აგვისტო. ოფიციალური. რუსეთ-გერმანიის და ავსტრიის ბრძოლის პირი. 1 აგვისტოს საღამოს 7 საათზე ქალაქ ნესვიჟს მოპირდაპირის ჰაეროპლანი დაეცა. შტაბს კაპიტანი კრუტენი, რომელმაც იქვე წინადღით ასეთივე ჰაეროპლანი ჩამოაგდო, აფრინდა „ნიუპორით", დაეტაკა მოპირდაპირის ჰაეროპლანს და ჩამოაგდო იგი. ჰაეროპლანი ნესვიჟთან დაეცა. ზემო სტრიპის რაიონში კვლავ წინ ვიწევთ დასავლეთისაკენ. მდ. ზლოტა ლიპას და ბისტრიცა სოლოდვინისას ჩვენი ჯარი მარჯვედ გადის.

**კავკასიის ასპარეზი.**

ქ. საყიზის რაიონში ჩვენი ჯარის შეტევა ამ ქალაქის მახლობლად აღმართულ ოსმალების გამაგრებულ პოზიციის დაპყრობით დამთავრდა. მოპირდაპირეს სდევნის ჩვენი ცხენოსანი ჯარი და იგი სწრაფად სამხრეთისაკენ იხევს.

**პეტროგრადი.** 2 აგვისტო. ოფიციალური. მდ. ზლოტა ლიპაზე გადასვლას განაგრძობს ჩვენი ჯარი. მოპირდაპირე ხელს გვიშლის სროლით და ზოგ ალაგას ხიდებს მძიმე არტილერია და ტყვიისმტყორცნელები უშენენ. აქ დავატყვევეთ 7 აფიცერი და 413 ჯარისკაცი, წავართვით 3 ტყვიისმტყორცნელი. მდ. პრუტის სათავესთან, ტყიან კარპატში, მოპირდაპირემ ჩვენი შეტევის გამო დასტოვა იაბლონიცა, რომელიც ჩვენ დავიპყარით. ამ პუნქტის სამხრეთით კვლავ დავიპყარით ვოროხტა და არჯელიუვი (მდ. პრუტაზეა). აქ დავატყვევეთ 32 აფიცერი და 1006 ჯარისკაცი. კვლავ წინ ვიწევთ.

**დასავლეთის ასპარეზი.**

**პარიზი.** 31 ივლისი. (დაგვიანებულია) ცნობა საღამოთი. მდ. სომას ჩრდილოეთით მოპირდაპირეს იერიში არ დაუპირებია. მცირე შეტაკებამ საშუალება მოგვცა „109" მაღლობის კალთებით წინ წავსწეოდით მორეპას სამხრეთ-აღმოსავლეთით. ბარლე.შონის რაიონში კვლავ არტილერიის საკმაოდ ძლიერი სროლა სწარმოებს. გუშინ საღამოს მაასის მარცხენა ნაპირით გერმანელებმა ძლიერი იერიში მოიტანეს ჩვენი ხაზების წინააღმდეგ ავოკურის ტყის სამხრეთით, მაგრამ სროლით და ხელით სახმარ ყუმბარებით მოვიგერიეთ. მაასის მარჯვენა ნაპირით არტილერიის დროგამოშვებითი სროლა სწარმოებდა. დანარჩენ ბრძოლის პირით დღემ მშვიდობიანად ჩაიარა. ღლისით მოპირდაპირის შორს-მსროლელმა ზარბაზანმა 4 ყუმბარა გამოისროლა ნანსის მიმართულებით.

**პარიზი.** 1 აგვისტო. ცნობა საღამოთი. უამინდობა ოპერაციებს ხელს უშლიდა. ბრძოლის პირის მეტ ნაწილად ზოგიერთ ალაგას არტილერიის განცხოველებული ბრძოლა ხდება. სომას სამხრეთით აგრეთვე მაასის მარჯვენა ნაპირით და სხვა ადგილებში არტილერიის დროგამოშვებითი სროლა სწარმოებდა.

**ლონდონი.** 1 აგვისტო, ოფიციალური. წარსულ ღამით მოპირდაპირემ ცოტა ხნით დაიპყრო ჩვენი თხრილები პოზიერის დასავლეთით, რომელნიც გუშინ დავიპყარით. დანარჩენ ბრძოლის პირით ანკრისა და სომას შუა ცვლილება არ მომხდარა.

**ლონდონი** 2 აგვისტო. საამირბარო აცხადებს: ინგლისელების კონტრნაღმოსანი „ლასო" 31 ივლის ჩაიძირა ჰოლანდიის ნაპირებთან. ალბად ან მცურავ ნაღმს დაეჯახა ან და წყალქვეშას ნაღმი მოხვდა. დაჰრილია ოფიცერი და მეზღვაური. არა სჩანან 2 ოფიცერი 4 მეზღვაური.

ოფიციალური ცნობა. ჩვეულებრივი სროლა სწარმოებდა. გერმანელების არტილერია მეტად მკაცრად უშენდა მამეცის ტყეს, პოზიერს, არასს და თხრილებს ვირსტრაატე ნეიტსხატეს გზის გასწვრივ.

**რომი.** 1 აგვისტო. ოფიციალური. გუშინ კვლავ ვუტევდით მოპირდაპირეს კორსოზე. ნადლოჟოს აღმოსავლეთით კიდევ ერთი გამაგრებული ხაზი გავარღვიეთ, დავატყვევეთ 300 კაცი, მათში 12 ოფიცერი. გორიცას რაიონში არტილერიის ბრძოლაა. მოპირდაპირის არტილერია ყუმბარას უშენდა გორიცას და იზონცოს ხიდებს.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

რუმინიის ახლობელი პოლიტიკა კვლავ საიდუმლოებითაა მოცული. მოკავშირეებს უკვირთ რომ მიუხედავათ მათი გამარჯვებისა ყველა ასპარეზებზე, რუმინია მაინც არ ერევა აქტიურად ომში.

——

„ფრანქფურტენ ცაიტუნგ"-ის სამხედრო მიმომხილველი სწერს, რუსებს ვოლინში და გალიციაში მეტად სერიოზული განზრახვა აქვთ ივლისის შუა რიცხვებიდან გრანდიოზულ შეტევის ახალი ხანა იწყება. ეხლა, მართალია დაგვიანებით, რუსეთის შეტევას წინაღუდგინეს მეტად მნიშვნელოვანი შეთანხმება და მთელი რუსეთის ბრძოლის პირი გინდენბურგს ჩააბარეს. ავტორის აზრით რუსეთის ჯარი ერთს ნებისყოფას ემორჩილება და მათი მოპირდაპირეც სწორედ ასე უნდა მოიქცეს. წინად ბრძოლის პირის ერთ ნაწილს ბერლინიდან მოსდიოდა ბრძანება და მეორეს კი ვენიდან. ეხლა ყველა გინდენბურგის ხელქვეით იქნება.

——

ავსტრიის მთავრობას მეტად აფიქრებს ოპოზიციის მოქმედება პარლამენტის მომავალ სესიის დროს. შიშობენ, კამათი მწვავე ხასიათს მიიღებსო. პოლიტიკურ წრეებში ირწმუნებიან ანდრაშის გარეშე საქმეთა მინისტრად დანიშნავენ და მაშინ მისი პარტია მთავრობას დაუჭერს მხარსო.

——

# ომის დღიური.

— —

**აღმოსავლეთის ასპარეზი.** მდ. სტრიპაზე რუსების წინსვლა ვითარდება. როგორც მდ. ზოლოტია ლიპაზე ისე მდ. ბისტრიცა— სოლოტვიხზე რუსის ჯარი მეორე ნაპირზე გადასვლას განაგრძობს. მიუხედავად იმისა რომ ავსტრიელები რუსებს მძლავრად უშენდენ არტილერიას და დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ მათ. აქ რუსებმა დაატყვევეს 7 აფიცერი და 413 ჯარის კაცი და დავლათ დარჩათ 3 ტყვიის მფრქვეველი- სამხრეთ კარპატების ჰალებიან კალთებზე ავსტრიელებმა იაბლონიცა მიატოვეს. რუსებს ხელახლად დაუბრუნებიათ აგრედვე ვოროხტა და ჯელიუვი. აქ რუსებმა დაატყვავეს 32 აფიცერი და 1006 ჯარის კაცი. შტაბს-კაპიტანმა კრუტენიმ გერმანელთა „ალბატროსი“ ჩამოაგდო და მფრინავი ტყვედ წამოიყვანა.

**კავკასიის ასპარეზი.** სპარსეთში საკკიზისაკენ რუსებს იერიშები მიუტანიათ და რამდენიმე ძლიერი სანგარი აუღიათ. რუსთა ცხენოსანი ჯარი ოსმალთ ფეადა ფეხ სდევნის და სამხრეთით ახევინებს.

**დასავლეთის ასპარეზი.** პოზიერის დასავლეთით გერმანელებმა ინგლისელთა პოსიციებზე იერიში მიიტანეს და სანგრები წაართვეს, მაგრამ მალე ინგლისელებმა უკან დაიბრუნეს სომმისა და ანკრის შუა თვალსაჩინო არა მომხდარა რა. იპრის სამხრეთით ინგლისელთა მოქმედება გაცხოველდა.

ასპარეზის დანარჩენ ნაწილში საარტილერიო ბრძოლა გაცხოველდა უამინდობის გამო ფრანგთა ჯარის ბრძოლის ხაზზე ბრძოლები მინელდა; სომმის სამხრეთით და მაასის მარჯვენა ნაპირზე ზარბაზნების სროლაა.

**იტალიის ასპარეზი.** კარსოს მიმართულებით იტალიელებმა ავსტრიელებს უკან დაახევინეს. ნადლოჯეს აღმოსავლეთით იტალიელებმა ავსტრიელთა ბრძოლის ხაზი გაარღვიეს და 300 კაცი დაატყვევეს. გორიცის მიდამოებსა და იზონცოს ხიდს ავსტრიელები ყუმბარებს უშენენ.

**ზღვაზე.** ჰოლონდიის ნაპირებთან ნაღმმა დაჰღუპა ინგლისელთა კონტრ-ნაღმოსანი „ლასსო“, ჰფიქრობენ ნაღმი წყალქვეშას მიერ იყო გამოსროლილიო.

---

რუმინული გაზეთები სწერენ, ამოქმედდეს სალონიკში დაბინავებულ გენ. სარაიოლის ჯარი და ჩვენც შეუტევთ ავსტრიელებსაო; წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ არ შეგვეძლება ორ სამი მხრით ბრძოლის წარმოებაო.

— —

„ბერლინგსკე ტიდენდე“-ს ატყობინებენ, გერმანიას და ავსტრიას გადაუწყვეტიათ პოლონეთის დამოუკიდებლობის გამოცხადება, რათა ამით დაასწრონ რუსეთს.

— —

„რუსკოე სლოვო“-ს ტფილისიდან ატყობინებენ, მუშ ბითლისის რაიონში მუსტაფა-ქიამილის ჯარი კვლავ შეტევას აწარმოებს. შეტევას სამი გზით აწარმოებენ: აღმოსავლეთით ოსმალთა ჯარის რაზმი ქურთების დახმარებით ბითლისის ჩრდილოეთით იწევს და მაღალ ქედების გადალახვას ცდილობს. ცენტრში ოსმალთა ჯარი ძლიერ სროლას აწარმოებს და მჭიდროდ შეჯგუფებულ რაზმებით მოდის მუშის რაიონში. მესამე ჯგუფი მურადჩაის ჩრდილოეთ ნაპირით მოქმედობს.

— —

გაზ „ეპოქა“ იუწყება, რომ რუმინიამ ნება დართო 800 ცისტერნა ბენზინის გატანისა. ეს კომპენსაციაა იმ საქონლისა, რომელიც გერმანიამ რუმინიაში შემოიტანა.

— —

რუმინიაში ბევრს ჰგონია, ამ ჟამად ისეთი პირობები შეიქმნა, რომ ბრატიანუ იძულებული იქნება საბოლოოდ შეუთანხმდეს ოთხთა შეთანხმებას, წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი მისი პოლიტიკა ფუჭად ჩაივლისო. მაგრამ არიან ისეთებიც, რომელნიც ამბობენ, რუმინიის მმართველი წრეები არამც თუ არ დაემდურებიან ამ შემთხვევაში ბრატიანუს, არამედ მადლიერნიც იქნებიან, რადგანაც ნეიტრალიტეტი მათ დიდს მოგებას აძლევს.

— —

სომმის მიდამოებში ფრანგებმა უკვე ქალ. პერსონს მიაღწიეს. ძლიერი საარტილერიო ცეცხლი გაუჩინეს. გერმანელები სწუხნან, რომ პერსონის მუზეუმებში დიდი ისტორიული განძი იღუპება.

— —

ფრანგები ამ ბოლო დროს გერმანიაში მყოფ რუს ტყვეებისადმი დიდ გულ მტკივნეულობას იჩენენ. გაზ „ჟურნალ“-ში დასტამბეს მოწოდება, რომლითაც სთხოვენ საზოგადოებას დახმარება გაუწიონ რუს-ტყვეებს.

— —

ცნობილი ინგლისელი სამხედრო მიმომხილველი ეხება გენ. ბრუსილოვის შეტევას და ამბობს, რომ მის წინააღმდეგ შეტევის დაწყებისას მდგარა 900000 ავსტრიელი და 600000 მდე გერმანელი. ბრუსილოვის შეტევა იმიტომ გამოდგა ნაყოფიერიო, რომ ყველა მოკავშირეთა მოქმედება შეთანხმებული იყოვო, ამბობს რეპინგტონი და უმატებს, რუსებმა იმიტომ დაასწრეს მოკავშირეებს, რომ მათ სურდათ მდგომარეობა შეემსუბუქებიათ იტალიელთათვის, რომელთაც იმ ჟამად ავსტრიელები მძლავრად უტევდნენო.

— —

ბუქარესტის არსენალში ყუმბარები აღმოუჩენიათ, რომლითაც ბოროტ განმზრახველებს არსენალის აფეთქება სურვებიათ, მაგრამ დროზედ შეუტყვიათ.

— —

ინგლისის საგარეო ვაჭრობა უკანასკნელ წელს საგრძნობლად გაზრდილა. ივლისის განმავლობაში ინგლისიდან გაზიდულ საქონლის ღირებულება 20 მილიონ მანეთით აღემატება 1914 წლის ივლისში გატანილ საქონლის ღირებულებას.

— —

რუმინიის მეფე ფერდინანდი უნახავს გერმანოფილ მარგილომანს და მოკავშირეთა მომხრე ტაკე-იონესკუს. რუმინულ გაზეთებს აკვირვებს ის გარემოება, რომ ორივე მოწინააღმდეგე კმაყოფილი დარჩენოდა მეფის საუბარით და დაასკვნიან ნუ თუ კიდევ უნდა გვქონდეს რუმინიის ომში ჩარევის იმედიო!

— —

ბოლო დროს საბერძნეთში კვლავ იჩინა თავი გერმანოფილურ პროპაგანდამ. გერმანოფილებმა ეხლახან დიდი აურზაური ასტეხეს საფრანგეთის ელჩის გილემონის სამშობლოში დაბრუნების გამო; ისინი არწმუნებდნენ ხალხს, რომ გილემონი თავის მთავრობამ გაიწვია, რადგანაც მან თავის მოვალეობა ვერ შეასრულა და მოკავშირეთა პოლიტიკა საბერძნეთში დამარცხდაო.

— —

გერმანეთის ელჩმა ბრატიანუ ინახულა და განმარტება სთხოვა იმის გამო, რომ რუმინეთი რისთვის აგროვებს ჯარს და ან სამხედრო მასალას რის სამაგიეროდ იღებსო. ბუშმა აღუთქვა: რუმინეთს ბუკოვინა მიეცემა უკეთუ ორ თვეს დაიცდის და ომში არ ჩაერევაო.

— —

იტალიების გორიცთან გამარჯვებამ რუმინეთში აღტაცება გამოიწვია.

— —

გერმანელი სოციალ დემოკრატები ხალხს მოუწოდებენ ანექსიის წინააღმდეგ ხმა აიმაღლონ.

— —

სათათბიროს თავმჯდომარის ამხანაგმა პროტოპოპოვმა კრებაზე მოახსენა სტოკჰოლმში გერმანელ დიპლომატთან საუბრის შედეგი. პროტოპოვის განმარტება მხედველობაში მიიღეს.

— —

პროფესორებმა ბრუსილოვის წინაშე შუამდგომლობა აღძრეს, რათა უნივერსიტეტი ხელ ახლად კიევში იქმნეს გადატანილი.

— —

„დოიჩლანდის“ კაპიტანი კენიგი რადიოტელეგრაფით იტყობინება, რომ ზღვაში უზრუნველად მოვცურავ და შინ მშვიდობით მოვალო.

— —

ოსმალეთის მთავრობა ოფიციალად აცხადებს, არაბეთის აჯანყება ჩავაქრეთ და აჯანყების მეთაურნი კონსტანტინეპოლში ჩამოვიყვანეთო.

— —

სერბეთზე გამვლელი ოსმალო აფიცრები არწმუნებენ ადგილობრივ მაჰმადიანთ ოსმალეთში გადასხლდენენ.

— —

პარიზის ცნობის მიხედვით გერმანელების დანიკლისის 570 გამოქვეყნებულ სიაში მოხსენებულია 76 ათასი აფიცერი და 2,900000 ჯარის კაცი.

— —

აღმოსავლეთ გერმანიაში უკანასკნელ ქარიშხლებს პირნახული საგრძობლად დაუზიანებია.

— —

ავსტრიიდან ატყობინებიან წლევანდელი მოსავალი შედარებით შარშანდელთან გაცილებით ცუდი იქნება.

— —

ავსტრო უნგრეთის მთავარ ბანკი არ მალავს უკანასკნელ დამარცხებას გალიციაში და ამას სხვა და სხვა მოსაზრებით ხსნის.

— —

მეხუთე სამხედრო სესხს გერმანეთი ენკენისთვის პირველ რიცხვებში გამოაცხადებენ.

— —

„ნ. ვ“ ინგლის-რუსეთის და სპარსეთის შეთანხმების გამო სწერს: ეს შეთანხმება ტეხნიკურად ავსებს 1907 წლის შეთანხმებას. ნაცვლად განყენებულ პრინციპებისა, ეს შეთანხმება განსაზღვრულ ზომებს ემყარება. სპარსეთის ფარული მფარველობა ცხოვრებაში ვერ გამოდგა და დღეს ინგლის-რუსეთი სპარსეთს ცხადად იფარავს თვით სპარსეთის მთავრობის თანხმობით. ბოლო დროინდელ შეთანხმებას ჰკვიანი ამსრულებლები უნდა თორემ მასაც პირვანდელის ბედი ეწევა.

— —

ანტვერპენში გერმანელებს დაუტყვევებიათ ბელგიის ნაციონალურ ბანკის დირექტორი კარლიე, მას გერმანელებმა 400 მილიონი ფრანკი მოსთხოვეს, მაგრამ მან მტკიცე უარი უთხრა.

— —

სერბეთში მოსული პირნახული გერმანელებს მთლათ ავსტრიაში და გერმანიაში გაუზიდავთ.

ბულგარეთში [illegible] იარაღი და მასალა მიუღიათ გერმანიიდან.

— —

იტალიის ახალ შეტევას მოკავშირეები დიდი იმედით შეჰყურებენ და მას დიდი ამბების დასაწყისათ სთვლიან.

— —

რუმინულ გაზეთ „ნოუ რევისტა რომანას“ მოყავს ერთ ცნობილ პოლიტიკოსის აზრი ბრატიანოს პოლიტიკის შესახებ; პოლიტიკოსი ამბობს, ბრატიანუს მხდალს ტყუილად უწოდებენ, მან თავი დააღწია როგორც გერმანელთა გამარჯვების ზედგავლენას, ისე მოკავშირეთა გამარჯვების ზედგავლენას, რამდენიმე მუხლში შეუთანხმდა მოკავშირეებს და ამნაირად თავიდან აიცილა რუმინეთს ომის ხიფათითო.

---

## ქართული პრესა.

იმერეთში დამშეულთა გამოსაკვებ სურსათის შემომტან კომისიის დაბრკოლებათა გამო, გაზეთი „საქართველო“ სწერს.

ომმა თავისებური გარემოება შექმნა. დაიშალა ბევრი ძველი წარმოება, გაჩნდა ბევრი ახალი; ჩამოვარდა მუშა ხელის ნაკლებობა წარმოების ყოველს დარგში; სოფლის მეურნეობა დაეცა და მთელი ქვეყნები დამშივდა. შემცირდა ვაგონები და სხვა გადასაზიდი საშუალება, ზოგიერთ საგნზედ მოთხოვნილებამ ერთი ათად იმატა.

ეს მოვლენები ერთი მეორეს გადაეხლართა, გართულდა ურთიერთობა მწარმოებელთ შორის, ისე როგორც გამყიდველებსა და მყიდველებს შორისაც. ვერ ვხედავ დანაშაულის დასაწყისს და ვერც დასასრულს. საზოგადოებრივ წარმოებასა და ურთიერთობაში, ძველი წყობილება და წესი დაირღვა და ახალი მეტად აჩირებული ჯერ კიდევ საბოლოოდ ვერ გამოირკვა. ძველი ნორმების დარღვევა სპეკულიაციის და ბოროტმოქმედების სათავედ გახდა. მრავლად გაჩნდა მოქნილი და მარჯვე მოხერხე და გამყვანებელი ყველა უღმერთო გამდიდრებისა და სხვის გაძარცვაზე ხელის მოთხობის ჟინით ატაცებული. ქაოსმა ყველა ესენი წაათამამა; რადგან ძნელი იყო დამნაშავემდე მიგნება, ეს გაქსუებები არაფერს ერიდებოდენ.

ასეთ შემთხვევაში წესიერების დაცვა ზომიერი ნორმების განმტკიცება და დამყარება მთავრობის პირდაპირი მოვალეობაა. ხალხის ინტერესის დაცვა და მის დახსნას კერძო პირთა ავანტიურისტიული წადილისაგან კანონის სახე უნდა მისცემოდა და მთავრობა დ. მთავრობაც ამ სახის სამოქმედად უნდა გამოსულიყო. მთავრობის პი-

---

## შავი ზღვის ნაპირებისაკენ.

(მგზავრის შენიშვნები)

როგორც იქნა მომეცა საშუალება მოვშორებოდი ქალაქის სიცხეს, მის მოშხამულ ჰაერს და ყოველდღიურ ფუსფუსს.

ივნისის შუა რიცხვებში მატარებელი მიმაქროლებდა ახალსენაკისაკენ, რათა შემდეგ რამოდენიმე კვირით მემოგზაურნა შავი ზღვის ნაპირზე მდებარე ქალაქებში. ომიანობის გამო ზღვით წასვლა ყოვლად შეუძლებელი გახდა. მაიც და მაინც არც მეინტერესებოდა ზღვით სიარული ამ ჟამათ, რადგან ეტლით უფრო მეტ ადგილებს ვნახავდი, ჩემს ნებაზე გავჩერდებოდი სადაც მსურდა, უფრო ახლო გაეცნობოდი იმ მხარეს, რომელზედაც მე სიარული მიხდებოდა.

დ. ახალსენაკიდან სოხუმისაკენ გადის მრავალი „დილიჟანსი“ და ეტლი. პირველი ღამის თევა ზუგდიდში მომიხდებოდა. ახალ სენაკში რამდენიმე ხნით გავჩერდი— იმ დღეს მატარებლით აქ ჩამოვიდა ქუთაისის გუბერნატორი და ადგილობრივი ადმინისტრაციის, ინტელიგენციის და ხალხის თანდასწრებით სადგურზე პურ-მარილი მიიღო. პირველმა წყება ეტლებმა უკვე გამასწრეს და მეორესთვის უნდა დამეცადა. ვზივარ სადგურზე და უცდი მეეტლეს, რომელიც აქ უნდა მოვიდეს ჩემი მცირედი ამანათის წასაღებათ.

— ჩვენ, მგონია ერთათ წასვლა გვიხდება—მეუბნება ვიღაც რუსის ქალი, რომლის ზანდუკებმა თითქმის ნახევარი I კლასის ოთახი აავსო. მე გაგრაში მივდივარ. თქვენ?

— მე ცოტა იქით—ტუაფსეში ..

— მაშ დიდ ხანს ვიმგზავრებთ ერთათ. ვიცნობდეთ ერთმანეთს—მან თავისი გვარი დამისახელა. ესეც ჩემი შვილია, ?ამაცნო თავისი პატირა ვაჟი, რომელიც შემჯდარიყო ზანდუკებზე და დედას თვალს არ აშორებდა ..

— ბატონო თქვენ სოხუმში არ მიდიხართ? მეკითხება ახალგაზდა მეგრელი მეეტლე.

— სოხუმში მივდივარ.. დილეჟანსით.

— დილეჟანსი, ბატონო აქ. ოთხ საათზე მოადგება, ზუგდიდში მიგიყვანს ღამის ათ ან თორმეტ საათზე, წამოდით ჩემი „ფაიტონით“ ეხლავეს შევაბამ ცხენებს და გავსწიოთ, ზუგდიდში დღიურ ვიქნებით.

მე თანხმობა გამოუცხადე, დავეკითხე ჩემს თანამგზავრებს ქალსა და ერთ ოს მოხუც აფიცერს, რომელიც წინეთ გავიცანი.

— რას ამბობთ—მეუბნება რუსულათ ოსი—მაგათი ამბავი მე მკითხეთ. აქ შეგპირდებათ მთელ სამეფოს და გზაში ბედს გაწყევლინებს დილეჟანსი ახლავე უნდა მოვიდეს, თუ არა სად წამივა მისი პატრონი... აბა კითხეთ, რას გვთხოვს ზუგდიდამდე?

— ოთხი თუმანი ბატონო?

— ხედავთ! ნიშნის მოგებით მითხრა ოსმა... მე ვიცი მაგათი ამბავი...

მთელი საათი გადის ჩვენს ცდაში და მეეტლის ვაჭრობაში. ბოლოს გამოჩნდა სანატრელი „დილიჟანსი“ და გავწიეთ ჩასაჯდომათ...

— А куда же я то сяду—ეკითხება ოსი მეეტლეს.

— ჩეიწ ჩამეიწიეთ ბატონებო... აი აქანა, კნიაზ დაბრძანდით ადგილი არის..

-- Что онъ брешетъ, какой тутъ ადგილი, тутъ моя бурка не помѣстится.

როგორც იყო მეეტლემ „მოალბო“ ოსი „კნიაზი“ და წავედით „დაინძრა“ „დილეჟანსი“ და დაინძრა ჩვენი ტვინი, თავი, მუცელი... არც გეშზე იქნება ისეთი ქანაობა როგორც აქ არის...

დამიწყო თავის ტკივილი...

— მიეჩვევით ბატონო, ნუ გეშინიათ, გაიარეთ ერთი ასი ვერსი და მერე ნახავთ ..

დავემორჩილდი ბედს.. მოვკუნჩე ფეხები, გავყავი თავი ფანჯარაში და დაუწყე ცქერა ახლო გაშენებულ სოფლებს, ბუნებას.

ხალხი ჯგუფ-ჯგუფად სდგას გზაზე... აქეთ გუბერნატორმა გაიარა და ყოველი საზოგადოება პურ-მარილით შეხვდა დღესასწაულია.

— რისთვის დადის ეს ხალხი ასე ტყუილა—მეკითხება რუსის ქალი—დღეს ხომ უქმი დღე არ არის?

— გუბერნატორს დახვდენ—უპასუხე მე—აქეთ გაიარა ეს დიდი მოვლენაა მათ ცხოვრებაში.

— რა უყოთ რომ გაიარა, შეხვდენ—ახლა სახლში უნდა დაბრუნდენ და იმუშაონ .. ეჰ სად არის ჩვენში გერმანული შრომის მოყვარეობა... საზოგადოდ მეუბნება ის—როგორც მე გამიგონია და ცოტათი ვხედავ—აქაური ხალხი მაინც და მაინც შრომის მოყვარე არ უნდა იყვეს. ეტყობათ რომ ძლიერ ცოტათი კმაყოფილდებიან. აი მაგალითად მათი სახლები—მიჩვენებს ის ახლომახლო სახლებზე—ოთხი კედელი და სახურავია, სცხოვრობენ შიდ არხეინათ...

— ვთქვათ არხეინათ არ სცხოვრობენ, მაგრამ რა უნდა ქნან თუ მეტი არა აქვთ. აქეთ გლეხობა მაინც და მაინც მდიდარი არაა... საერთოთ აქაურ გლეხობას იმისი ნახევარი მიწაც არა აქვს, რაც რუსის გლეხკაცობას...

— მაგრამ ბატონო არ შეეფერება ამ ქვეყანას სიღარიბე—შეხედეთ რა სილამაზეა—ამ დროს სახლები „ქათმის ფეხებზე“... ჰაერი აქ თბილია... რა უპირსთ რომ აქ გააშენონ ბაღები, ამ თხმელას მაგივრათ ეზოში ვაშლი დარგონ, ამ ჩირგვების მაგივრათ ხეხილი გააშენონ, ფული შემოვა ხალხში,—შეხედეთ, შეხედეთ, „სტრაჟნიკი„ როგორ ზის ცხენზე—გვაწყვეტინებს ლაპარაკს ოსი აფიცერი. შევარცხვინე ვინცხამ შენ „სტრაჟნიკათ“ დაგნიშნა, ისე ქანაობს თითქოს მთვრალი იყვესო. აი ის მეგრელი კარგათ ზის... აქ ხომ მეგრელები არიან...

— დიახ მეგრელები...

— მომწონს ეს მეგრელები—ვაკვირდები და ოსებს მაგონებენ, ჩვენებს, ყველას ყავს თითო ცხენი... და მერე მოხდენილი ხალხია... წინეთ მე ვიცოდი ქართული... აქეთ სადღაც ონი უნდა იყვეს; იქ მე ახალგაზდობაზე ცხვრები მყავდა, ცხენებიც, მთებით დავდიოდით... „თიხის ყველი მომყიდე“ ასე იტყოდენ ქართველები...

— თხის ყველი—ვუსწორებ მე... ოსი იმეორებს ჩემს სიტყვებს—„თხის ყველი“ ცხორი... ქაცო... ონ---კალაკი... მეეტლე მიაქანებს თავის „კოლოფს“, როგორც ჩვენ დავარქვით „დელეჟანს“. მოწიწებით უყურებენ ჯვრიან მოხუც აფიცერს, თითქოს ეშინიათ—არ გაგვიწყრესო... ეტლის ჯანჯგალს ცოტათი მივეჩვიე, ცოტათი ყურები დამიგუბდა, თორემ გზაც კარგია .. ირგვლივ სულ ყანებია... სოფლებიც, ნესტიან სამეგრელოს მოხდომია დიდიხნის გვალვა—ყანებს გვარიანი პირი უჩანს ეგერ ეგერ მოსჩანს შკოლების შენობები—Высшее начальное училище —კითხულობს რუსის ქალი.

— აქ სახელოსნო და სამეურნეო სასწავლებლები ბევრი უნდა იყვეს?

— მეკითხება ის.

— საძუხაროთ სულ არ არის. ჩვენი სასკოლო მთავრობა ხალხის ეკონომიურ განვითარებას კალთების წვნაში ხედავს და სხვა დარგის მეურნეობა ნაკლებათ აინტერესებს... აი თუნდა ეს უმაღლესი პირველ დაწყებითი შკოლები—რას აძლევს ის აქაურ ხალხს—ძალიან ცოტა რამეს, ან და სრულიათ არაფერს.

სამშობლო ენას შიგ ნაკლებათ ასწავლიან, რამე ხელობის ცოდნას იქ ვერ იძენს მოსწავლე და ემზადება მხოლოთ კანცელარიის მწერლათ...

— ეს ძალიან ცუდი მოვლენაა—ამბობს ის—ქართველებს მაინც სამსახურში ყოფნა უფრო უნდათ ვინემ სახლში მუშაობა... მარა ესეც კია თუ შკოლაში შრომის სიყვარულს ბავშს არ უნერგავენ, თუ მას მიწას აშორებენ - რა უნდა ქნას მანაც ისევ რაიმე სამსახურში უნდა შევიდეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რები ღირსეულნი დარაჯნი უნდა იყვნენ ყველა ღონისძიებისა, რომელსაც სახელმწიფო ინტერესისთვის უტყუარი ღირებულება აქვს. კანონი და სამართალი სდევნის კიდეც სპეკულიანტებს, რომელთა წრეს გადასული ჩარჩული ჟინი ხალხსა და საზოგადოებაში უკმაყოფილებასა და დრტვინვას გამოიწვევს. რაც შეიძლება კაცმა მოითმინოს კერძო პირისაგან იმის მოთმენა მთავრობის პირისაგან უთვლად შეუძლებელია. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა ის წერილი, რომელიც თავად კ. პ. თუმანიშვილის ხელის მოწერით „ზაკავკასკაია რეჩის“ მე-174 ნომერშია დაბეჭდილი.

ვინ არ იცის, რომ ქუთაისის გუბერნიაში შარშან და წელს ერთობლივი სიმშილი იყო. ფიცხელი საჭიროება იყო სიმინდის ჩამოტანა და ხალხზე ხელმისაწვდომ ფასებში გაყიდვა. მთავრობა და კერძო საზოგადოება უნდა შეერთებულიყო ამ საქმის მოსაგვარებლათ რაც შეიძლება შეღავათიან პირობებში. კაცისა და ღვთის სამართალი უნდა აღშფოთდეს, როდესაც ხალხის ამ უნუგეშო მდგომარეობით ვინმე ბოროტად ისარგებლებს.

„ზაკავკასკაია რეჩის“ ხსენებული წერილიხება ამ მდგომარეობას და ამხელს მიწათა მოქმედებმს და მიწათმოწყობის მინისტრის რწმუნებულს კავკასიაში, ბ-ნ შაშკოვსკის, რომ ქუთაისის გუბერნიის დამშეულ ხალხზე ფუთი სიმინდი 23 კაპ. უფრო ძვირად გაუყიდვინა ვიღაც ზაიცევს, მაშინ როდესაც შეძლება ყოფილა ძმ ქავთარაძეების საშუალებით ფუთი სიმინდი სწორედ 23 ნაკლებად გაყიდულიყო! ბატონმა ზაიცევმა კონტრაქტით ქუთაისის გუბერნიაში სულ 2 მილიონი შვიდას ათასი ფუთი სიმინდი უნდა შემოზიდოს და ფუთზე 23 კაპ. განსხვავება ექვსას ათას მანეთზე უფრო შორს მიდის. და მთელი ეს ფული ქუთაისის გუბერნიის გაძვალტყავებულს და დამშეულ ხალხს უნდა გადახდეს!!. მოდი და სამართალი ნახე! ამ საშინელ ძარცვა-გლეჯის დროს საზოგადოებას მთავრობის იმედი აქვს და თუ მთავრობის რომელიმე პირი თვით ამგვარ საქმეში ჩაებმევა, მაშინ ვისი იმედი უნდა ვიქონიოთ. კანონის და წესიერებს აღდგენა და დაცვა ვის უნდა მოეთხოვოს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თავადი თუმანიშვილის დასაბუთებული წერილი ადგილობრივ უმაღლესი მთავრობის ყურადღებას მიიქცევს და ფიცხელ გამოძიებას მოახდენს საქმის გამოსარკვევათ. მისი იმპერატორებით უმაღლესობას, რომელიც განსაკუთრებულ გულისყურს სთავაზობს ხალხის გაჭირვებას, სათანადო სასჯელს მიაყენებს დამნაშავობის ჩამდენ მოხელეს და ხალხსაც იმედს განუმტკიცებს, რომ მისი უკანონოდ გამყვლეფი სასტიკად დაისჯება, მით უმეტეს, თუ ეს გამყვლეფი მთავრობის მოხელეა.

## სახალხო მასწავლებელთა საყურადღებოდ.

(შეცდომის გასწორება.)

გუშინდელ ჩვენი გაზეთის ნუმერში მოთავსებული იყო ცნობა სახალხო მასწავლებლების ჯარში გაწვევის შესახებ, ვითომ წითელი და ლურჯი ბილეთებიანი მასწავლებლები, რომელთაც ეხებოდათ 15 აგვისტოს მობილიზაცია, ჯარში გაწვევისაგან სრულიად თავისუფალნი არიანო. ეს ცნობა მართალი არ გამოდგა, გაზ., „საქართველო“ იძლევა შემდეგ ცნობას ოლქის მზრუნველის სამმართველოდან:

„სახალხო მასწავლებელთა შეკითხვისა გამო სამხედრო ბეგრის მოხდაში შეღავათის მიცემის შესახებ, ჩვენ შემდეგი ცნობები შევკრიბეთ ოლქის მზრუნველის სამმართველოში:

1. პირველი ხარისხის მოლაშქრენი 1897—1893 წლამდე არ იქმნებიან გაწვეულნი.

2. არ იქმნებიან აგრეთვე გაწვეულნი მეორე ხარისხის მოლაშქრენი 1905—1896 წლამდე.

3. ამას გარდა ოლქის მზრუნველს მიუღია განკარგულება სამინისტროსა დეპარტამენტისაგან დაუყონებლივ მიეცეს მოწმობები სახალხო მასწავლებლებს, რომ ისინი მასწავლებლობენ ამა თუ იმ სკოლაში; ხოლო არ არის ამ განკარგულებაში ნაჩვენები, თუ რა მნიშვნელობა ექმნება ამ მოწმობებს მასწავლებელთათვის სამხედრო ბეგრის მოხდის საქმეში.

4. ეს განკარგულება ეხება, როგორც პირველ დაწყებითი,—ისე უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელთა მასწავლებლებს.

5. იმ სკოლების შესახებ, რომელნიც დაარსებულნი არიან 1 მკათათვის კანონის თანახმად, მოსულია განკარგულება, რომ ამ სკოლების მასწავლებლებს არავითარი შეღავათი არ მიეცემა სამხედრო ბეგრის მოხდაში,

6. ჩვენ თხოვნაზე, აღძრას ოლქის მზრუნველის სამმართველომ შუამდგომლობა დანარჩენ მასწავლებელთათვის შეღავათის მიცემის შესახებ, მივიღეთ პასუხი.

ოლქის მზრუნველის სამმართველო ამ საკითხის შესახებ შუამდგომლობის აღძვრას ვერ იკისრებს.

ამ ცნობის მიხედვით საჭიროა სახალხო სკოლების მასწავლებლებმა დაუყონებლივ აიღონ სახალხო სკოლების ინსპექტორებისაგან სათანადო მოწმობები და წარუდგინონ დანიშნულებისამებრ.

ყოველი ახალი განკარგულების შესახებ ცნობები თავის დროზე იქნება გაზეთებში მოთავსებული.

თბილისის და ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების მასწავლებელთა დამხმარე საზოგადოებათა მთავარ-გამგეობის თავმჯდომარენი ვ. ბურჯანაძე და მ. ბასილაია

— —

რედაქციისაგან. გუშინდელ ჩვენს გაზეთში მოთავსებულმა ცნობა მასწავლებელთა განთავისუფლების შესახებ პირველად გავიგეთ გაზ. „ბატუმსკია ვესტის“ (№1139) და შემდეგ სახ. დირექტორის კანცელარიის საქმის მწარმოებლისაგან.

# ახალი ამბავი.

— —

✦ შუამდგომლობა. 2 მარიამობისთვეს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მთავარ გამგეობამ დაადგინა; სთხოვოს კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს, იშუამდგომლოს საცა ჯერ არს, რომ საზოგადოების სკოლების სასწავლებლებს ისეთივე შეღავათი მიეცესთ ჯარში გაწვევის მხრივ, როგორიც ენიჭებათ სამინისტრო შკოლების მასწავლებლებს.

✦ ჭიათურის მადნები. ბელგიელმა სამრეწველო ორგანიზაციებმა გამოგზავნეს კავკასიაში ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორი ბიქტორ ბრენი, რომელსაც დაევალა გაეცნოს ჭიათურის შავი ქვის და სხვა კავკასიის სამრეწველო რაიონებს.

✦ სახალხო ბანკის განყოფილება. ამ მოკლე ხანში ქ. ბათუმში გაიხსნება მოსკოვის სახალხო ბანკის განყოფილება. ამის შესახებ ბათუმის სასოფლო სამეურნეო საზ. და ბანკის შორის გამართულია ოფიციალური მიწერ-მოწერა.

✦ დახმარება. ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობას სახალხო განათლების სამინისტრომ აღმოუჩინა 4300 მანეთის დახმარება საშკოლო საქმეების მოსაწესრიგებლათ.

✦ არა საკადრისი საქციელი. რუსის ჯარის ოსმალეთის საზღვრებში შესვლისთანავე მიტოვებულ ადგილს შეესიენ ვიღაც საეჭვო პირები და ოსმალთა მიერ მიტოვებულ ადგილებს დაეპატრონენ. ამის გამო გენ. იანუშკევიჩმა ფიცხელი განკარგულება მოახდინა, რომ ეგეთი საქციელი არ იქნას განმეორებული მოსული ხალხისაგან. ეს ადგილები იჯარით უნდა დაეთმოს მხოლოდ ადგილობრივ მცხოვრებთ უმაღლესი მთავრობის ნებართვით.

✦ თუთუნის მოსავალი. როგორც ვიცით შავი ზღვის ნაპირებზე დიდძალი თუთუნი მოყავთ, წელს თუთუნის მოსავალი ამ მხარეში ძლიერ კარგია, განსაკუთრებით უხვი მოსავალია ადლერის რაიონში. სოხუმის ოლქშიაც მოსავალს კარგი პირი უჩანს. მემამულეები ჩივიან მხოლოდ მუშა ხელის ნაკლულობაზე.

✦ ქალაქთა კავშირი. რადგანაც მობილიზაციის გამო ქალაქთა კავშირის ბევრ დაწესებულებას დააკლებს მოსამსახურეს, ქალაქთა კავშირის რწმუნებულმა თხოვნით მიმართა კავკასიის სამხედრო ოლქის მზრუნველს რომ წაყვანილთა ადგილზე დაინიშნონ ჯარის კაცები. მოთხოვნილია 200 ჯარის კაცი. მოსამსახურენი კი ყველანი უნდა გაიწვიონ.

✦ ახალი სასოფლო სამეურნეო საზოგადოება დაარსდა ბათუმში. წევრებათ არიან მრავალი ვაჭარ მემამულეები და სხვ.

✦ მუშების გაფიცვა. გაზეთ „კავკასკოე სლოვოს“ გამოცემა რამდენიმე ხნით შეჩერდა.

✦ კურსები. ქუთაისის სასოფლო სამეურნეო საზოგადოება 7 აგვისტოდან დაბა ხონში აწყობს ორკვირიან კურსებს მომხმარებელთა საზოგადოებების წევრებთათვის. ლექციები იქნება კოოპერაციის შესახებაც კურსები უფასოა.

✦ ავაზაკების დაჭერა. ქალაქის პოლიციამ ლაგირის ქუჩაზე კუხიანიძის სახლში დააპატიმრა ვინმე კვერნაძე, კუხიანიძე და ვაშაკიძე. ერთი მათი ამხანაგი გაიქცა და სროლა აუტეხია პოლიციას.

✦ დაჯარიმება. ქუთაისის გუბერნატორის განკარგულებით დაჯარიმებულ იქნენ ვაჭრები: გოგუაძე შაქრის მომატებულ ფასებში გაყიდვისათვის 50 მან. გ. პ. ვასაძე პურის მეტ ფასში გაყიდვისათვის 50 მ. ე. ა. სვანოვი ღვინის ვაჭრობისათვის 15 მ. ე. ს. ქეიშვილი ერთი თვის ციხეში ჩაჯდომით ჯარის კაცთა ღვინის მიყიდვისათვის და დ. პ. ჭანტურია რევოლვერის უნებართვო ტარებისათვის 25 მანეთით.

✦ განცხადებათა ცენზურა შინაგან საქმეთა მინისტრმა ა. ხვოსტოვმა ფიცხელი განკარგულება მოახდინა, რათა გუბერნატორებმა და ადგილობრივმა ცენზორებმა განსაკუთრებითი ყურადღება მიაქციონ გაზეთებში განცხადებების ცენზურას.

✦ უბილეთოები. საგზაო სამინისტრომ ცირკულიარული განკარგულებით მიმართა ყველა რკინის გზის სადგურების უფროსებს. რათა სასტიკათ სდევნონ მატარებლებზე უბილეთო მგზავრები. ვისაც მატარებლის ბილეთი არ აღმოაჩნდება დაჯარიმებული იქნებიან 500 მანეთით ან სამითვის ციხით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე კონდუქტორის მოქმედებას.

✦ **ოქმები.** ქალაქის სანიტარმა ჩაჩანიძემ ოქმი შეუყენა ეზოსა და ბინის უსუფთაობისთვის ქუთაისის მცხოვრებთ: ლ. მ. მგალობლიშვილს, რ. ი. ჩხიკვიშვილს, გრ. ი. გველესიანს, გ. ელუაშვილს და გრ. ჩიქოვანს.

**შემთხვევები.** ს. ბუგურჯეთში, ზუგდ. მაზ. გაძარცვეს გლეხი ბერიშვილი და წაართვეს 310 მანეთი. ავაზაკი მაქსიმე შელია შეიპყრეს. ს. დილიკაურში მოკლულ იქნა ზურაბ სულაძე, მკვლელები ვერ აღმოაჩინეს.

✦ სამრევლო შკოლების მასწავლებლები. სინოდის საშკოლო საბჭო აცნობებს ეპარქიალურ სასწავლებლებს, რომ სამრევლო შკოლების მასწავლებლებსაც მიეცემათ ის შეღავათი ჯარში გაწვევისას, როგორიც სამინისტრო შკოლებისას, ე. ი. გაანთავისუფლებენ წითელბილეთიანებს 1896—93 წლამდე და ლურჯ ბილეთიანებს 1893—1505 წლამდე.

✦ ქალაქის საავათმყოფოში. ქალაქის საავათმყოფოს უფროსმა შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რომ საავათმყოფოს მოსამსახურენი განთავისუფლებულ იქმნან ჯარში გაწვევისაგან.

✦ აჭარლებისთვის. ტატიანის კომიტეტმა გადასცა ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას 2000 მ. სახულოში ამბულატორიის მოსაწყობათ.

✦ ქალები კონდუქტორებათ. ამიერ კავკასიის რკინის გზის მთავარმა სამმართველომ განკარგულება მოახდინა, რომ ნება მიეცეს ქალებს დაიკავონ კონდუქტორების ადგილი ბაქოს, საბუნჩის, მიხაილოვის, ბორჯომის, სურამის, თბილისის, რიონის, ქუთაისის, ტყიბულის, ბათუმის, ქობულეთის, და ფოთის სადგურებზე.

✦ ქალაქის ტელეფონები. ამ ჟამად ძლიერ ცუდათ მუშაობენ. საჭიროა ქალაქის ელექტრო ტეხნიკმა ამ საქმეს ყურადღება მოაქციოს.

✦ სათავად აზნაურო გიმნაზიაში. სათავად-აზნაურო გიმნაზიის მასწავლებლები 15 აგვისტოს მობილიზაციის გამო ჯარში გაწვეული იქნებიან. იმათ, როგორც კერძო გიმნაზიის მასწავლებლებს ჯარში გაწვევისაგან არ ანთავისუფლებენ. ჯარში გაყავთ აგრეთვე სათავად-აზნაურო გიმნაზიის მოწაფენიც, რომელთაც სამხედრო ბეგარა ეხებათ.

✦ სილოვან ხუნდაძის საქმე. სათავადაზნაურო გიმნაზიის გამგემ ბ. ი. ი. ოცხელმა ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის დავალებით შუამდგომლობა აღძრა მეფის მოადგილისა და ოლქის მზრუნველთან რათა ბ. სილავან ხუნდაძე დაბრუნებული იქნას სათავად-აზნაურო გიმნაზიაში. შუამდგომლობა აღძრა აგრეთვე მოწაფეთა და მასწავლებელთა განთავისუფლების შესახებ.

✦ უწმინდესი სინოდის განკარგულებით ქუთაისში მოკლე ხანში კვლავ გაიხსნება სასულიერო სემინარია.

✦ გამომცემელ ამხანაგობის „სამშობლოს“ თავჯდომარე ალ. ალ. გარსევანიშვილი გვთხოვს გამოვაცხადოთ, შემდეგი: ის კრება გამომცემელ ამხანაგობის წევრთა, რომელიც ოთხ ამ თვეს იყო დანიშნული, მისგან დამოუკიდებელ მიზეზის გამო გადაიდო 9 აგვისტოსთვის. ამ

საჭიროა გაზეთის დამტარებლები, მსურველნი მოვიდნენ „სამშობლოს“ რედაქციაში დილის 9—12 საათამდე.

---

მაგრამ ასეთი მცირე ცოდნით რომ ვერც სამსახურში დაწინაურდებიან...

მეეტლის სიტყვით ზუგდიდში ხუთ საათზე ვიქნებით... მივყვებით ნელნელა აღმართს... ირგვლივ მთებია—დაფნის ხით და ყანებით დაფარული, შორს რაღაც მონასტერი მოსჩანს...

— რა მშვენიერებაა... პირდაპირ საგარაკო ადგილია—ამბობს რუსის ქალი ..

— დიახ, დიახ მშვენიერებაა, ლამაზია ჩემი სამშობლო, მდიდარია მისი ბუნება, მაგრამ სუსტი და ღარიბია ჯერ მისი შვილები... როდის, როდის იქნება, რომ ამ „სააგარაკო ადგილებზე“ გაშენებული იქნება კულტურულ ყაიდზე თუნდა ამ დაფნის ხის ბაღები, როდის იქნება, რომ ამ ადგილების მკვიდრნი თავის საკეთილდღეოთ გამოიყენებენ ამ სიმდიდრეს და სილამაზეს...

ლამაზი და მდიდარიაო- და ამ ქვეყანას ეპოტინება მრავალი გარეშე ხელი... მარამ გამოღვიძების დრო დამდგარია-ამის მომასწავებელია თუნდაც ეს ახალგაზდა ბაღები, ეს ერთგულად დამუშავებული ყანები. და მალე ის დრო, რომ ის ხალხი, რომლის გლეხი... რომლის მიწა წყალსაც ხლა ასე მრავალიხელი ეპოტინება მრისხანეთ შესძახებს მას: „შორს ხელიო“. დეე, მალე, მალე იქნეს ეს დრო...

მოვდივართ ვაკეზე...

— ეჰე ბატონო ზუგდიდი-გვიჩვენებს მეეტლე... აქ გზა წარმოადგენს შესანიშნავს სილამაზეს... შვიდი რვა ვერსის მან ძილზედ გაწვდილია გზა ტკეცილი როგორც სწორი, ისარი... ბოლოში ძაფის დენა მოსჩანს გზის წვერი.. იქ არის ზუგდიდი... ზუგდიდი კარგი მოზდილი ქალაქია. შიგ შესვლის თანა ვეპყრობს თქვენს ყურადღებას სუფთა ქუჩები, რიგიანი სავაჭროები.. ჰაერი გაჟღენთილია ყვავილების სუნით გზის პირს ჩამწკრივებულია დიდი მიმოზის ხეები, რომლის ყვავილები ატმის საამურ სუნს აფენს არე მარეს...

ექვსი საათია. სადილის შემდეგ ჩემი თანამგზავრები სასეირნოთ მიდიან, ცოტა ხნის შემდეგ მეც გავდივარ ბაღში... ვინახულე რამდენიმე ადგილობრივი ინტელიგენტთაგანი.. შევდივართ წ. კ. საზოგადოების ბიბლიოთეკაში.. ჩვეულებრივი ლაპარაკი: ფედარალისტები, ესდეები.. „ჩვენ“ თქვენ“ აქაური ინტელიგენციას გამოფხიზლება ტყობა, სერიოზულათ სურთ ხელი მოკიდონ მუშაობას... ღამის თორმეტი საათია და ჩვენ ისევ ვლაპარაკობთ აქაურ ამბებზე დილის ოთხ საათზე უნდა წავიდეთ.. მე კმაყოფილი ვეთხოვები აქაურობას და მივდივარ დასაძინებლათ...

— თქვენზე ოთხი მანეთია ბატონო მითხრა სასტუმროს პატრონმა დილით.

— Знаете что насъ по четыре рубля взыскиваютъ, спросите ихъ за что?.. შემომჩივის ოსი.

— ოთახი ბატონო ჩაი ..

— Чтобы чортъ васъ побралъ съ вашимъ чаемъ Всего два стакана было, а булку то сваю съиѣмъ.

— გულმოსულია ოსი...

გადვიხადეთ მძიმე კონტრიბუცია“ და წავედით.

ოსსა და „მეეტლეს შორის კვლავ ჩხუბი გაიმართა. გუშინ ის შეგვპირდა რვა კაცის მეტს არ დავაჯენ დილიჟანზეო“ ეხლა ზედ თორმეტი ზის...

— ეს ბატონო კონდუქტორია, ეს ქუჩერი, ეს კანტრალიორი ესენი აუცილებლათ აქ უნდა იჯდენ ამბობს მეგრელი დელიჟნის პატრონი...

— ქაცო, ფირი, ფირი... თქვი რვა ზნაჩიტ რვა .. გულმოსული უპასუხებს ოსი..

— მომეხმარეთ შენი ჭირიმე, გამაგებით რამე მეხვეწება მეეტლე. არაფერი არ ეშველა აფიცერს... მეტი ფული მივეცით, რომ ბევრი ჯარ დაეჯინა და რათ ქნაო .. საქმე იმით გათავდა რომ „კანდუქტორი“, „კანტრალიორი“ და კიდევ ვიღაც იძულე-ბული გახდენ ჩამოსულიყვენ წავედით სოხუმისაკენ...

გზები ამ ადგილებზე ძლიერ ცუდია განსაკუთრებით ენგურამდე. ძველი გზა ტკეცილი წამხდარი იყო და სასოფლო გზებით გვიხდებოდა სიარული, ცხენებს არაქათი გამოელიათ სანამ ენგურამდი მივიდოდით ცოტათი შევჩერდით ენგურის პირს.

ამ მდინარის ვიწრო ხეობა ერთ ულამაზეს ადგილს წარმოადგენს. მთებიდან გადმონაჩქეფი ენგური ძლიერი სისწრაფით მიქანებს თავის მოთეთრო ტალღებს შავი ზღვისაკენ, ქრის საამო ნელი ქარი მდინარი დან... სუნთქამ და ვერ ძღები ამ სალი ჰაერით, რომელიც ქალაქში ისე ძვირია, ისე მიუწდომელი... ირგვლივ არე მარე დაფარულია ამწვანებული ტით მაღლიდან გადმოსჩერებია თვალ უწვდნელი მრების მწვერვალები... ირგვლივ საიდუმლო სიჩუმეა. ენგურიც არ ქუხს აქ ჩვეულებრივათ.. თითქოს არც მას სურს დაარღვიოს ბუნების საიდუმლო მყუდრება შედგა ბორანზე ჩვენი ეტლი და მდინარის სწრაფმა ტალღებმა მალე გარიყა გაღმა ნაპირზე...

— ჩაბძანდით ბატონებო.. საჩქაროთ იძახის მეეტლე. გულნატკენი ვცილდები ამ ნაპირებს, იმ იმედით, რომ როდისმე კიდევ მომეცემა შემთხვევა კვლავ დავტკბე მათი სიმშვენიერით?

ნ. მშვილი.

დასასრული იქნება.

დღეს კრება მოხდება სათავად აზნაურო ბანკის დარბაზში საღამოს 7 საათზე,

✦ პურის ნიხრი. ამ ჟამათ ქუთაისში ტომარა პურის ფქვილი ღირს №3 18 მ. 75 კ., №4—18 მ. 50 კ., №—5 18 მ. 23 კ., №6—18 მ. №7—17 მ. 70 კ., №8—16 მ. 75 კაპ.

✦ სტიპენდიები. წ. კ. საზოგადოებაში თავისუფალია სარაჯიშვილის სახელობის ოთხი სტიპენდია.

✦ დაპატიმრება. გაზ. „კუტ. ვესტის" თანამშრომელი პეტრე ჯარსკი ამ რამდენიმე დღის წინად დააპატიმრეს ძველი ლიტერატურული საქმისათვის.

✦ შაქარი. ქუთაისის რამდენიმე მსხვილმა ვაჭარმა უკვე მიიღო რამდენიმე ვაგონი შაქარი.

✦ კურსებზე. როგორც გავიგეთ ქუთაისის სახალხო შკოლების დირექციის მიერ მოწყობილ ქუთაისის კურსებზე დანიშნულ მასწავლებელთ 30 მანეთი დახმარება მიეცემა სამი კვირის განმავლობაში.

## თ ბ ი ლ ი ს ი.

— თბ. სათავად-აზნაურო გიმნაზიაში ამ გიმნაზიიდან ჯარში გაწვეული მოწაფეებიდან არ გაანთავისუფლეს 1896 წელს დაბადებულნი. გაანთავისუფლეს ვინც 1897 წელსაა დაბადებული.

— სასახლეში. 1 მარიამობისთვეს სასახლეში გენერალ პოს აჩვენებს სინემატოგრაფიული სეანსები ბრძოლის ველიდგან აღებულ სურათებისა. დაესწრო მეფის ნაცვალი დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე.

— სასურსათო საკითხი 1 აგვისტოს თბ. გუბერნატრის თავმჯდომარეობით შესდგა კრება პირველ საჭიროებათა მოთხოვნილებთა შესყიდვის ზომების მისაღებათ. დადგენილ იქმნა დაარსდეს განსაკუთრებული ბიურო გუბერნატორის კანცელარიასთან. ბიუროს გამგეს ორი გამოცდილი თანაშემწე უნდა ჰყავდეს. საზოგადოთ საქმე ფართე ნიადაგზე უნდა იყვეს დაყენებული.

## მველი ნაშთები.

ყოველი ერი, დიდი თუ პატარა, რომლის ისტორიული ცხოვრება რაიმე ღირებულებას წარმოადგენს საკაცობრიო ისტორიისათვის, ან მეცნიერებისათვის, ცდილობს ისტორიული მასალა უცვლელად შეინახოს და ისე გადასცეს თავის შთამომავლობას.

ასეთი აუცილებლობა ყოველმა ერმა შეიგნო და დააარსა კერძო თუ ოფიციალური საზოგადოება, ანუ წრე და შეძლებისადაგვარად უვლის თავის ქვეყნის ნაშთებს.

ჩვენმა ერმა კი გვიან შეიგნო მნიშვნელობა ისტორიულ ნაშთებისა. გაძარცვა-შენარჩუნებაში ჩვენმა ქვეყანამ თავის ისტორიული მსვლელობაში რამდენიმე ხანა გაიარა.

იყო დრო, როდესაც გვესხმოდენ ბარბაროსი მტრები და შეუწყნარებლად აქცევდენ მონასტრებს, სადაც განსაკუთრებით ინახებოდა ძვირფასი ნაშთები.

დადგა დრო, როდესაც იგივე მტრებმა შეაცდინეს ჩვენი მონასტრების წინამძღოლ-ბერ-მონაზვნები, გაიტანეს ბევრი ძვირფასი სამკაული თვალ მარგალიტი.

ამ ბოლო დროს ჩვენმა ქვეყანამ დაინტერესა განათლებული ქვეყნების წარმომადგენლები, რომლებიც ხშირად ეწვევიან ხოლმე ჩვენს ისედაც შევიწროებულ ქვეყანას და გააქვთ, რაც კი ბოროტ ხელსა და თვალს გადარჩენია.

ამ ჟამად ჭიათურის მახლობლად, ს. ზედა-რგანში, ეგრედ წოდებულ „გვარჯილა კლდეში" მუშაობს ვიღაც პოლონელი, ვარშავის სამეცნიერო საზ. ლაბორატორიის ასისენტი სტეფანე კრუკოვსკი. მე მქონდა შემთხვევა გამომეკითხა მისი ვინაობა და დამეთვალიერებია მისგან ამ კლდეში ნახული ნივთები. მას აქ უნახავს კაჟისა, ძვლისა და რქის ძირფასი იარაღები, ფრინველების ფრთისაგან გაკეთებული საუცხოვო მახათები და სხ.

ამავე პირის თქმით ზოგი ამ ნაშთაგანი ეკუთვნის 16 ათასი წლის წინ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს და დიდ ღირებულებას წარმოადგენს ირმის რქისაგან გაკეთებული შვილდ-ისარი.

ბ-ნი კრუკოვსკის აზრით მარტო ამ გამოქვაბულის გაჩხრეკას მოუნდება თითქმის ერთი წელიწადი.

ეს უცხო კაცი აღტაცებულია თავისის შრომის ნაყოფით და თან ცოტა არ იყოს დაცინვით ამბობს: ,,სულ ერთია თქვენ არ გცოდნიათ თქვენი ნაშთების ფასი და ისევ ჩვენ მოვიხმართო''. ეს სიტყვები ბევრ რამეს გვეუბნება და დროა დღეის შემდეგ მაინც ვიღონოთ რამე, რომ ძვირფასი ნაშთები არ გვეკარგებოდეს.

კარგს ინებებს ჩვენი საისტორიო, საეთნოგრაფიო საზოგადოება, რომ ყურადღებას მიაქცევდეს ხოლმე უცხო მკვლევარებს და მის ნება დაურთველად არავის შეეძლოს ძველი აკლდამეებისა, თუ მაღარო-მღვიმეების გაჩხრეკა, ხოლო თუ ეს არ შეიძლება, თავისი კაცი მაინც გაგზავნოს ხოლმე, როცა მოსულები იკვლევენ და იძიებენ ჩვენებურ ნაშთებს, რომ მის თანადასწრებით ხდებოდეს ეს კვლევა-ძიება.

ა. ნიშნიანიძე.

# რუსეთი.

პეტროგრადს დაბრუნდა ობერ-პროკურორი ვოლჟინი. მას ვრცელი მოხსენება დაუმზადებია ქართული ეკლესიის მდგომარეობის შესახებ და ამ დღეებში სინოდს წარუდგენს.

— —

მოსკოვის მიდამოებში ცეცხლი გასჩენია საბავშვო თავშესაფარი და 17 ბავშვი დამწვარა.

— —

სამი დღით ხორცის ხმარების აკრძალვის გამო გასტრონომიულ სავაჭროებისა და რესტორანების პატრონებს განუცხადებიათ მთავრობისთვის ეს გარემოება ვაჭრობას მთლად მოკლავსო და უთხოვნიათ, მოხსნან განკარგულება.

— —

თურქესტანის გენერალ გუბერნატორს კუროპატკინს განუცხადებია მუსულმან დეპუტატებისათვის თევკელევისა და ჯაფაროვისათვის, რომ ამ ჟამად მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და სრული სიწყნარეაო. კუროპატკინს სიამოვნებით დაურთვია ზემოხსენებულ დეპუტატებისთვის ნება იმოგზავრონ თურქესტანში.

— —

შავი ზღვის გუბერნიისკენ გამოემგზავრა პროფესორი ა. ს. გინზბერგი, რათა გამოიკვლიოს რამდენად ფართოდ შეიძლება სამკურნალო მცენარეულობის თესვა მოყვანის საქმის წარმოება კავკასიაში და კერძოდ ჭოროხის ხეობაში.

— —

მთავარ სასურსათო სამმართველოს გამოურკვევია, რომ მთელ იმპერიაში ამ ჟამად 8 მილიონ ფუთამდე შაქარი ყოფილა. სამმართველოს ეს შაქარი საკმარისად უცვნია.

## მოწოდება

ორი წელიწადია რაც დაბა ტყიბულში არსებობს უფასო წიგნთ საცავ სამკითხველო. ამ ხნის გნმავლობაში სამკითხველო მოთავსებული იყო ნაქირავებ შენობაში დღეს, როდესაც ბინის ქირამ საგრძნობლად აიწია და სამკითხველოს დამხმარე წევრთა უმრავლესობა ბრძოლის ველზე იქნა გაწვეული, ძლიერ ძნელი შეიქნა სამკითხველოსათვის ყოველ წლიურად შენობის ქირის გადახდა. ამიტომ სამკითხველოს გამგეობამ მოიწვია კრება სამკითხველოსათვის შენობის აგების საკითხის გადასაწყვეტად და კრებამ გაითვალისწინა რა ის გარემოება რომ ქართველი საზოგადობა ყოველთვის თანაგრძნობით ეკიდება კულტურულ დაწესებულებას და ეს თანაგრძნობა უფრო გაარკვეცა მან ამ ბოლო ხანში. აირჩია საამშენებლო კომისია, რომელსაც დაავალა გამართოს ხელის მოწერა შემოწირულებაზე.

საამშენებლო კომისია მიმართავს ყველა ქართველ ქველმოქმედს, შეგნებულ მშრომელ ხალხს და ინტელიგენციას გამოიღოს თავისი წვლილი ამ კულტურულ დაწესებულებისათვის, რომ ამით საშვალება მიეცეს მას, აუგოს სამკითხველოს დაბა ტყიბულში საკუთარი შენობა და ამით უზრუნველ ჰყოს მისი არსებობა. ყოველ გვარი წვლილი დიდის მადლობით მიიღება და თავის დროზე გამოცხადებული იქნება ქართულ პერიოდულ გამოცემებში. ბატონებო ნუ დაიშურებთ თქვენს წვლილს ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმისათვის.

შემოწირულება შეიშლება გამოიგზავნოს ამ მისამართით.

Твибули Михаилу Кбиладзе для читальни.

ტყიბულის წიგნ. სამკით. საამშენებლო კომისის მონდობილობით ქრისტეფორე ანდრეაძე.

ვსთხოვთ გაზეთ „საქართველოს" რედაქციას გადაგვიბეჭდოს ეს მოწოდება.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთში ადგილი დაუთმოთ ამ ჩემს საპასუხო წერილს და ამით საშუალება მომცეთ თავიდან ავიცილო დაუმსახურებელი ცილისწამება.—

გაზ. „ჩვენი მეგობრის" №103 ში მოთავსებულია კორესპონდენცია ლეჩხუმიდან ვიღაც „და—დის" ფსევდონიმით, რომელიც ბრალს მდებს, ვითომც მე განმეზრახოს ჩემს მიერ გასყიდულის ადგილის ჩამორთმევა პ. ხეცურიანისათვის და ამ ადგილის მისყიდვა მდომოდეს მისი ძმისათვის, რადგანაც ეს უკანასკნელი ორასი მანეთით ვითომცა მეტს მაძლევდა.

ასეთი ბრალდება სრულ სიყალბეზეა აგებული და საშინლად მაკვირვებს რად დასჭირდა პატ. კორესპონდენტს ცრუ ბრალდების წამოყენება ჩემს წინააღმდეგ.

საქმის ნამდვილი ვითარება ასეთი იყო. ამ რამდენიმე თვის წინად ერთი ნაჭერი მიწის გაყიდვა დამჭირდა, ამიტომ კაცი გავგზავნე ჩემს ნათლის მამასთან (პეტრე ხეცურიანის ძმას) და შევუთვალე ამა და ამ ადგილს ვყიდი შენთვის ამ ადგილის ყიდვა ხელ საყრელი იქნება, რადგანაც ამ ადგილის ნახევარი შენა გაქვს და ბარემ ესეც შენ იყიდე მეთქი. მაგრამ მან ამ ადგილის ყიდვა სრულიად უმნიშვნელო ფასში მოინდომა და იძულებული გავხდი მისთვის აღარ მიმეყიდნა. შემდეგ ამის მამამ გაგზავნილმა კაცმა პეტრე ხეცურიანს მიაკითხა, პეტრემ თანხმობა განაცხადა და კიდეც მოვრიგდით ამ ამბავმა მეორე ძმა, რომელსაც პირველათ შევაძლიე მამული, მეტად შეაწუხა და ძმათა შორის გაჩნდა შური და უთანხმოება.

ისეთი შეურიგებელი შეიქმნა მათი დავიდარაბა, რომ თანდათან გაღრმავდა ამ ადგილის გამო. და ბოლოს უსისხლოდ არ გათავდებოდა მე რომ შუამავლობა არ გავრეულიყავ, და ძმა ძმას არ შემოჰკვდომოდა, პეტრე ხეცურიანს მამასახლისის ხელით თავისი ფული გავუგზავნე (რასაც მამასახლისი დაამოწმებს თუ საჭირო იქნება) და შევუთვალე: „ნუ გამხევთ სამოსამართლეში ჩემი ადგილი დამიბრუნე და შენი ფული ან ნაცვალი ადგილი მიიღე მეთქი".

პეტრე ხეცურიანმა უარი განაცხადა ამ წინადადებაზე და ფულიც უკან დამიბრუნა.

ერთს ხანს კიდევ გავჩერდი, იქნებ ძმები როგორმე მორიგდენ მეთქი, მაგრამ ამაოდ. მაშინ კი იძულებული გავხდი პოლიციისათვის მიმემართა—ჩემი ადგილი ჩაბარებით ჩემთვის. პოლიცია მოვიდა და შემდეგ რა ჩაიდინა მან, ამის პასუხის მგებელი მე არ ვარ.

აი ასეთი გახლავთ ამ საქმის ვითარება და არა ის, რასაც ბრძანებს ბ. „და—დი თავის წერილში". მით უმეტეს რომ პეტრე ხეცურიანმა ნაცვლად ჩემგან მისყიდულის ადგილის კარგი ხანია უკვე მიიღო ჩემგან მაგიერი ადგილი და მით დაკმაყოფილებული დარჩა.

თავადი ა. დადეშქელიანი

**ქალაქის ბაღში 15 მაისს წერა-კითხვის საზოგადოების ქუთაისის განყოფილების მიერ გამართული სეირნობის ანგარიში.*)**

შემოსავალი.

1, შემოსასვლელ ბილეთებისაგან 1151 მან, 8 კაპ, 2, ლატარიის ბილეთებისაგან 15, 40 მან. 31 კაპ, 3, ჩაის ტოლებისაგან 488 მან. 7 კაპ. 4, ბედნიერების გასაღებისაგან 131 მან. 45 კაპ. 5, ყვავილებისაგან 161 მან. 98 კაპ. 6, ბედნიერების კოშკისაგან 49 მან. 42 კაპ. 7, რგოლების თამაშობისაგან 93 მან. 63 კაპ 8, ბედის კასრისაგან 45 მან. 69 კაპ. 9, ფოტოსაგან 65 მან. 15 კაპ. 10, პტი—შოსაგან 32 მან. 5 კაპ 11, ვახშმისაგან 165 მან 90 კაპ 12, შამპანიურისაგან 48 მან. 5 კაპ. 13, ნაყინისაგან 41 მან. 25 კაპ. 14, წიგნების გაყიდვისაგან 2 მან. 50 კაპ. 15, მწერლების სურათებისაგან 23 მან. 28 კაპ.16, ფულათ შეწირულება 1065 მან 32 კაპ.

სულ 5106 მან. 55 კაპ.

*) ამ ანგარიშის დასტამბვა ჩვენდა უნებურად დაგვიანდა. რედ.

გასავალი

1, სამხედრო გადასახადი მარკებზე 260 მან. 50 კაპ. 2, სტამბა (აფიშები ანონსები და ბარათები 80 მან. 3, მუსიკა და ზურნა 45 მან. 4, ბაღის განათება 103 მან. 35 კაპ. 5, ხელსაქნარის მასალა 46 მან. 32 კაპ. 6, ხე—ტყის მასალა 13 მან 56 კაპ. 7, დურგლების ხელფასი 17 მან. 50 კაპ. 8, ახალი ბორბლის და ძველის შეკეთება 11 მან. 50 კაპ. 9, კონფეტტი, კარტონი 12 მან. 50 კაპ. 10, პატენტი თავის მარკებით 12 მან. 50 კაპ. 11, სანოვაგე 32 მან. 29 კაპ 12, გატეხილი ჭურჭელი 2 მან. 60 კაპ. 13, საღებავი რეკლამებისათვის 5 მან. 14, ლურსმანი 2 მან. 15, პატარა კალათები 5 მან. 16, წერილების დამტარებლებს, დარაჯებს, 2 სტრაჟნიკს 4 პოლიციელს და მებაღეებს 31 მან. 17, მუშებს და მოსამსახურეებს 45 მან. 20 კა,.

სულ 736 მან. 67 კაპ.

5106 მან. 55 კაპ.—736 მან. 67 კაპ.

წმინდა შემოსავალი 4369 მან. 88 კაპ.

გამგეობა მთელის შემადგენლობით უღრმესს მადლობას უძღვნის ყველა შემომწირველთ, ყველა იმპირთ, რომელთაც ასეთის თუ ისეთის დახმარებით ხელი შეუწყვეს სეირნობის კეთილათ დაგვირგვინებას და მთელ ქუთაისის საზოგადოებას რომელიც განსაკუთრებულის თანაგრძნობით ეკიდება ამ ეროვნულ განმანათლებელ დაწესებულებას შემომწირველთა სია ცალკე იქნება გამოცხადებული.

სეირნობის გამგენი მელანია გველესიანისა მარიამ ვარდოსანიძის ასული.



## რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 7 ს. 25 წ. | |
| „ | — საღამ. — | 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 40 | „ |
| „ | — ღამის — | 2 ს. 20 | „ |
| ფოთიდან | — დილის — | 10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 6 ს. 50 | „ |
| შორაპნიდან | — დილის — | 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის — | 11 ს. — | „ |
| „ | — ღამის — | 12 ს. 15 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს — | 7 ს. 3 | „ |
| „ | — დილის — | 5 ს. 55 | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 4 ს. 8 | „ |
| ტყიბულისკენ | — დილის — | 6 ს. 20 | „ |
| შორაპნისაკენ | — დღით — | 5 ს. 20 | „ |

რედაქტორი ი. ციცაძე.
გამომცემელი ამხან. „სამშობლო"

ს უ ს უ ნ ა ტ ი.

ვისაც სურს ერთხელ და სამუდამოდ განიკურნოს ამ ავადმყოფობისაგან მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მისი თავიდან მოშორება შეიძლება **სუსუნატის** წამლით პირველ ხარისხოვანი **„გოლოზანით"**. ეს წამალი სულ რამდენიმე დღეში ჰკურნავს დაძველებულ სუსუნატს. საშუალება **ნაცადია თბილისის, რუსეთისა** და **საზღვარგარეთელ ექიმებისა** და **პროფესორების** მიერ და აღიარებულია საუკეთესო წამლად სუსუნატის მოსარჩენად.

**ჩვენი გარანტია:** თუ თქვენთვის ეს საძნელო არ იქნება, გთხოვთ შეეკითხოთ რომელსაც გსურთ ექიმს ჩვენს აბებზე და ის აუცილებლად აგიხსნით, რომ ეს აბები საუკეთესო და უებარი საშუალებაა. ერთნაირად ნაცადია მამაკაცებზეც და ქალებზეც. მაშ, ნუ ხარჯავთ დიდ ფულს უშედეგო წამლობაზე, რადგანაც 3 კოლოფი და ორი შუშის შესხაპუნებით, რომელიც წამალთან არის ერთად, სავსებით ჰკურნავს ავათმყოფს ამ მძიმე სენისაგან.

ერთი კოლოფი აბებისა ღირს 4 მან. და 3 შუშა შესაშხაპუნებელი ღირს 9 მანეთი. სხვა ქალაქებში გაიგზავნება 3 მანეთის მიღების შემდგომ.

მიწერ-მოწერა და წამლის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ **რ. შმიდტ თბილისი,** თხინვალის ქუჩა № 12, მახლობლივ გოლოვინის პროსპექტისა და მეჟავოის ქუჩის.

Р. Шмидтъ, Тифлисъ, Тхинвальская ул , № 12 отд. 1

**მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ჟორჟოლაძეების სამკურნალო**

ა ბ ა ნ ო.

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში". ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის". ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით.

თ.

— საღი კუჭი —

**ჟელაგარი** ექ. ვეზისა.

ახალი მეცნიერულათ შემზადებული პრეპარატი კუჭის ქრონიკულ უაზბობის, მოშლის, ნაწლევების, კატარის და საჭმლის გადამხარ შველ ნაწილების სისუსტის წინააღმდეგ.

ქრონიკული უაზბობა წყაროა მთელი წყება კუჭ-ნაწლევების მოშლისა, პირის დებინებისა, სიმწვავისა, მუცლის ბერვისა, კუჭის ტკივილებისა, ნაწლევების კატარისა, გემორროისა, იწვევს სისხლის მოწამვლას, თავის ტკივილებს, მადის დაკარგვას, ცუდ გუნებას და საერთოდ მთელი ორგანიზმის მოშლა—დასუსტებას. უაზბობის წინააღმდეგ ჩვეულებრივ ხმარობენ სათვალარათო წამლებს, რომელიც არა თუ სპობს უაზბობას, პირიქით უფრო აძლიერებს მას.

პრეპარატი **ჟელაგარი** ექ. ვეზისა აქარწყლებს კალაკვის მასსას, ასაღებს ნაწლევებს, აშორებს უდებობას და აჩვევს მას ნორმალურ მუშაობას და რადიკალურათ სპობს ჭვალს, ნაწლევების კატარს, მიგრენს და სხვა სისუსტეს, რომელიც გამოწვეულია უაზბობისაგან. **ჟელაგარი** სრულებით უვნებელი საშუალებაა სხეულისთვის და სრულებით ადვილი გადასატანია თვით ჭიუტ ავათმყოფობისაგანაც კი. პრეპარატ **ჟელაგარს** ხმარობენ გამოჩენილი პროფესორები კუჭის ავათმყოფობის დროს და მოწონებულია როგორც უტყუარი და სარწმუნო საშუალება კუჭის ყოველგვარ ავათმყოფობისა და მისი შედეგებისათვის.

დაწვრილებითი ბროშურა კუჭის ავათმყოფობის შესახებ პირველ მოთხოვნილებისთანავე იგზავნება უფასოთ.

ნამდვილი **ჟელაგარი** ექ. ვეზისა მზადდება საფრანგეთსა და რუსეთში. იყიდება „პრაკტიკულ მედიცინის ლაბორატორიის განყოფილებაში" და ქუთაისში **ა. პ. შავერზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩაზე, ქალაქის თეატრის პირდაპირ.

ჟელაგარის ერთი კოლოფი ღირს 3 მ., მოსარჩენათ საჭიროა 3—5 კოლოფი.

9 (წლიური)